

თინათინ სიხარულიძე
დოქტორანტი
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნის ტენდენციები XIX საუკუნის 60-90-იან წლებში

თეზისები: ამა თუ იმ ერის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თარგმნილი ლიტერატურა, რომელიც მედიატორის ფუნქციას ასრულებს ინტერკულტურულ ურთიერთობებში, ხელს უწყობს როგორც სათარგმნი ლიტერატურის პოპულარიზაციას უცხოურ ენაზე, ისე ეროვნული ლიტერატურის გამდიდრება-განვითარებას. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება მახვილდება ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, ჯორჯ გორდონ ბაირონის ქართულ ენაზე თარგმანებზე XIX საუკუნეში. ეს პროცესი წარიმართა თავდაპირველად, ჯერ კიდევ ბაირონის სიცოცხლეშივე, მისი პოპულარიზაციით საქართველოში და თარგმანებით შუალედური ენის (რუსული, ფრანგული) მეშვეობით (ს. ალექსი-მესხიშვილი, მ. თუმანიშვილი). რუსულ კულტურულ სივრცეში ბაირონის თარგმანები ჩნდება 1822 წელს სხვადასხვა პრესის ორგანოებსა (*Вестник Европы*, *Новости литературы*, *Библиотека для чтения*, и др.) და ნ. გერბელის ტომებში *ლორდი ბაირონის თხზულებანი რუსი პოეტების თარგმანებში*.

ამ პერიოდისათვის „თერგდალეულებმა“ დღის წესრიგში დააყენეს ორი საკითხი: **რა ვთარგმნოთ** და **როგორ ვთარგმნოთ?** ილია ჭავჭავაძე თავის კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა...“ აკრიტიკებს რა რუს პოეტს, ივანე კობლოვს, აყენებს იმ თარგმანის აუცილებლობას, რომელიც უცხო ენაზეც ისე აჟღერდება, როგორც ორიგინალში. ილია ჭავჭავაძე თვითონ თარგმნის ბაირონის რამდენიმე ლექსს *ებრაული მელოდიებიდან*, რასაც მოჰყვება *ებრაული მელოდიების ნაწყვეტების აკაკი წერეთლის თარგმანიც*. შემდგომ, განსაკუთრებით XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ბაირონის

შემოქმედება ითარგმნება და ქვეყნდება ქართულ ენაზე (ი. ბაქრაძე, ა. ფურცელაძე, ნ. ლომოური და სხვ.). აღნიშნულ საკითხზე ბაირონის თარგმანების შეფასება განხილული აქვთ მკვლევარებს: მ. კუჭუხიძეს, გ. გაჩეჩილაძესა და ი. მერაბიშვილს. ჩვენი ყურადღება კი ძირითადად მახვილდება ი. ბაქრაძის მთარგმნელობით ღვაწლზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი თარგმანები პირველწყარო ტექსტიდან არ იყო შესრულებული და ნაკლები მხატვრულობით გამოირჩეოდა, მან მაინც უზარმაზარი როლი ითამაშა XIX საუკუნის ბოლომდე ბაირონის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ბაირონი, ქართული თარგმანები, იოსებ ბაქრაძე

Abstract: Translated literature, which serves as a mediator in intercultural relations, is one of the integral parts of the cultural life of each nation, contributing to the popularization of translated literature in foreign languages as well as the enrichment and development of national literature. In this regard, our attention is drawn to the 19th-century translations of an English Romantic poet, Lord Byron. That process was commenced in even Byron's lifetime in Georgia through the Russian, French translations (S. Aleksi-Meskhishvili, M. Tumanishvili). Byron's works' translation into Russian dates back to 1822 via some press of bodies («Vestnik Evropy», «Novosti Literatura», etc.) and by Gerbel's volumes entitled «The works of Lord Byron in Translations of Russian poets».

At that period, «Tergdaleulebi» placed high on the agenda two subjects: **What to translate** and **How to translate?** According to Ilia Chavchavadze's critical letter, «A couple of words...», where he criticized a Russian poet, Ivan Kozlov, who considered that the translated works would be sounded as the source text. Ilia translated some Byron's poems from «Jewish Melodies», followed by Akaki Tsereteli's translation. Since the 1860s Byron's works had been translated and published in Georgian. (I. Bakradze, A. Purtseladze, N. Lomouri, etc). The evaluation of Byron's translations was discussed by the scholars, Kuchukhidze.M and Gachechiladze.G. Our attention is focused on Bakradze's work, whose translations were not made from the source text and featured as less artistic.

However, he played a huge role in promoting Byron's creativity in Georgia until the end of the 19th century.

Keywords: Byron, Georgian translations, Ioseb Bakradze

ამა თუ იმ ერის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თარგმნილი ლიტერატურა, რომელიც მედიატორის ფუნქციას ასრულებს ინტერკულტურულ ურთიერთობებში, ხელს უწყობს როგორც სათარგმნი ლიტერატურის პოპულარიზაციას უცხოურ ენაზე, ისე ეროვნული ლიტერატურის გამდიდრება-განვითარებას. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში სარდიონ ალექსი-მესხიშვილი გაზეთ *კავკაზში* გამოქვეყნებულ სტატიაში „ანტიკრიტიკა“ აღნიშნავდა, რომ დადგა დრო ევროპულ ცივილიზაციასთან დანათესავებისაო (2). V-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა თარგმნის აღმოსავლურ ლიტერატურას, XIX საუკუნიდან დასავლურ ლიტერატურას აღიქვამს და თარგმნის. ეს განუყოფლადაა დაკავშირებული „ევროპეიზმის“ ცნებასთან. თუ V-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა აღმოსავლურ ლიტერატურასთან ურთიერთობაში XIX საუკუნიდან დასავლურ ლიტერატურას აღიქვამს, ეცნობა და მდიდრდება, ეს განუყოფლადაა დაკავშირებული „ევროპეიზმის“ ცნებასთან. „ევროპეიზმი“ ქართულ ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყო უცხოელი მწერლებისა და მათ ნაწარმოებთა თარგმანების გაცნობასთან ქართველი მკითხველისათვის. ამიტომ, მიუხედავად ქართული პრესის სიმწირისა XIX საუკუნის 20-30 იან წლებში, მაინც ქართველ მწერალთა წიგნების გვერდით ალაგ-ალაგ გაიეღვეს თარგმნილი ლიტერატურაც, რომელიც ძირითადად რუსულ ან ფრანგულ ენებზე ნათარგმნი ტექსტებით შემოდიოდა საქართველოში. როგორც მკვლევარი თამარ მიქაძე წერს,

უცხოელი ავტორების თხზულებების გადმოღების დროს ქართულ მწერლობაში შეინიშნება სათარგმნი ტექსტისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება: თავისუფალი თარგმანი, მიბაძვა, გადმოკეთება, თარგმანი პირდაპირი გაგებით, „ამა და ამ მოტივის მიხედვით“ და სხვა. ასეთ დროს მთარგმნელი ახალ ცხოვრებას ანიჭებს უკვე არსებულ ნაწარმოებს განსხვავებულ სოციალურ, ისტორიულ, თუ ნაციონალურ გარემოში. (*იოსებ ბაქრაძის ცხოვრება და შემოქმედება* 95)

თარგმნა, გადმოკეთება უცხოურიდან, უმეტესწილად, იმ დროისათვის ლიტერატურული ლიდერის, ევროპული მწერლობიდან, თარგმნით ხდებოდა, რაც ერთგვარად გათანაბრებული იყო „ევროპეიზმის“ ცნებასთან და, ძირითადად, დაკავშირებული იყო იმ დიდ ლიტერატურულ მიმართულებასთან, რომანტიზმთან, რომელმაც

მთელი ევროპა და რუსეთი მოიცვა. ეს უკანასკნელი საქართველოში შემოდის XIX საუკუნის დასაწყისიდან.

თუმცა, ეს არაა მხოლოდ ერთი მიმართულებით ხედვა ევროპული რომანტიზმისაკენ,

მას მეორე მხარეც აქვს, რაც თავად რომანტიზმის საფუძველში ძვეს – ესაა ეგზოტიზმი. რომანტიკოსები... ეძიებენ ცხოვრების მათთვის უცნობ ყაიდას, ნორმებს, ზნე-ჩვეულებებს, შეიძლება უფრო თავისუფალს, „გახსნილს“, ვინემ სამშობლოში არიან ჩვეულნი. მათ ყურადღებას, განსაკუთრებით, აღმოსავლეთი იპყრობს: „აღმოსავლეთისაკენ მიმართეთ ყურადღება, წერდა ბაირონი მურს, ჩრდილოეთის თემა უკვე ამოვწურეთ“. (ეკიზაშვილი, *ევროპული რომანტიზმის პანორამა* 64)

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ჩნდება სწორედ „ევროპეიზმი“ და ისიც დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის სახელთან. „ევროპეიზმის“ მიმდევარი ილია, პოეზიის ქვეყნარტ განსახიერებად რომ თვლიდა ცხოვრების აზრის, ერის სულისკვეთების გადმოცემას, ყურადღებას ამახვილებდა იმაზეც, რა უნდა ეთარგმნათ და როგორ.

„ევროპეიზმის“ არსად იგი ხალხის სულიერი ცხოვრების სიღრმისეულ კვლევას, მისი „უკვდავების ძარღვის შენძრევას“, „კაცად-კაცობის ვრცელი მოედნის“ წვდომას რაცხდა, – აღნიშნავს დავით ლაშქარაძე. კაცად-კაცობაში კი ილია ზოგადკაცობრიულს გულისხმობდა, კონკრეტულ-ეროვნულიდან გამომდინარე, იმ საერთოს, რაც ეკონომიურ პირობათა, საყოფაცხოვრებო დეტალთა, ზნე-ჩვეულებათა თუ ფსიქიური წყობის სხვაობათა მიუხედავად, თანაბრად გასაგებია ყოველი ერის ხალხისათვის, გამოხატავს პროგრესული კაცობრიობის გულისთქმას და შეესატყვისება მის ინტერესებს. (ლიტერატურული მერიდიანები 18).

ამიტომ ქართული ლიტერატურის ახალი მიმართულების – „ევროპეიზმის“ – უპირველეს და მთავარ ნიშნად, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ ასპექტში გაშუქებული საზოგადოებრივი სატკივრების ასახვა, „კაცად-კაცობის ვრცელი მოედნის გადაწვდომა“ მიაჩნდა, ხოლო „ევროპული გამოთქმა“ – ამ შინაარსის გადმოცემის შესაფერ ფორმად, რომელიც თავისთავად, ახალი შინაარსის გარეშე გამოყენებული, არ ქმნის პრინციპულ სხვაობას ძველსა და ახალ მწერლობას შორის. (20)

ვიზიარებთ რა დ. ლაშქარაძის თვალსაზრისს, ვფიქრობთ, რომ სწორედ თარგმანი უნდა ყოფილიყო, ილიას აზრით, ის გზა, რომლითაც ევროპული მწერლობა ორგანულად იქცეოდა ქართული ლიტერატურისათვის. აქედან დასკვნაც: ევროპული მწერლობის

საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე გადმოღებით შესაძლოა, იქმნებოდა ქართველი ერისათვის მტკივნეული საკითხების შესაძლებლობაც.

უფრო მოგვიანებით, ილია ჭავჭავაძე „ევროპეიზმის“ შემოსვლას ქართულ კულტურულ ცხოვრებაში თავის დაუმთავრებელ „წერილებში ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“, ასე განავითარებს:

დავით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან, რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართული ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის განვრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალური ლექსი; გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა; ესლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძავენ მაგ ევროპიულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰქვანან. (410)

როგორც, გ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, ს. ჩიქოვანს მართებულად აქვს განმარტებული „ევროპეიზმის“ ილიასეული გაგება: „ეს ტერმინი ევროპული ლიტერატურის გავლენას და ბრმა მიბაძვას კი არ ნიშნავს, არამედ აღმოსავლურის გავლენის სრულ მოსპობას და ქართულ აზროვნებაში ევროპული ტიპის უნივერსალიზმის დაბრუნებას“ (*მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი* 87-88).

„ევროპეიზმი“ სწორედ რომ რომანტიზმის მეშვეობით შემოდის ქართულ ცნობიერებაში. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მახვილდება ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, ჯორჯ გორდონ ბაირონის ქართულ ენაზე თარგმანებზე XIX საუკუნეში. ეს პროცესი წარიმართა თავდაპირველად ჯერ კიდევ ბაირონის სიცოცხლეშივე, მისი პიროვნების პოპულარიზაციით საქართველოში და თარგმანებით შუალედური (რუსული, ფრანგული) ენების მეშვეობით (ს. ალექსი-მესხიშვილი, მ. თუმანიშვილი). რუსულ კულტურულ სივრცეში ბაირონის თარგმნა დაკავშირებულია 1822 წელთან. სხვადასხვა პრესის ორგანოების (*Вестник Европы, Новости литературы, Библиотека для чтения*, и др.) და ნ. გერბელის გამოცემებით ლორდი ბაირონის თხზულებანი რუსი პოეტების თარგმანებში ქართველი მკითხველიც ეცნობა მას.

როგორც ქეთევან ელაშვილი წერს, ბაირონის სულიერმა ამბოხმა, მძაფრმა ვნებათაღელვამ, საოცარმა პოეტურმა ხიბლმა და წამლეკავმა შემოქმედებითმა პათოსმა წარმოშვა „ბაირონიზმი“, როგორც „რომანტიზმის ერთ-ერთი ლიტერატურული განშტოება“ (*სიმბოლო ქართულ და ევროპულ რომანტიზმში* 235).

„ბაირონიზმი“, „ბაირონის სხოლა“¹, ბაირონის მიმდევრობა იჭრება, ასე ერთგვარად, ქართულ სამყაროში სწორედ თარგმანის მეშვეობით.

ხოლო XXI საუკუნის გადასახედიდან, როგორც პროფესორი ინესა მერაბიშვილი აღნიშნავს, „ბაირონიზმი არის უპრეცედენტო მოვლენა იმ თვალსაზრისით, რომ არც მანამდე და არც მას შემდეგ არ შემდგარა არცერთი სხვა მწერლის სახელობის ლიტერატურული მიმდინარეობა, რაც ერთიანად მეტყველებს ბაირონის უდიდეს გავლენასა და მნიშვნელობაზე“ (ლორდ ბაირონი, *ლექსები* 14).

საქართველოში ბაირონის პოეზიის ექო ჯერ კიდევ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ახმიანდა: ქართველი მწერლების დაახლოებას ბაირონთან, ისევე, როგორც მთელ ევროპულ ლიტერატურასთან, XIX საუკუნეში ყველაზე ადრე ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ბაირონის ქართველმა თანამედროვემ, შეუწყო ხელი. ზაქარია მთაწმინდელის მიხედვით, ალ. ჭავჭავაძეს უთარგმნია ბაირონი ქართულად, თუმცა მათ თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევია. (*Ibid.* 46)

ხოლო „ლიტერატურათმცოდნეობაში დღეს უკვე კარგადაა გარკვეული ბაირონისეული მოტივებისა თუ განწყობილებების არსებობა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ვახტანგ ორბელიანთან, გრიგოლ ორბელიანთან“ (48).

ბაირონის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი, პოეტი მიხეილ თუმანიშვილი (ხელთუბნელი) ყურადღებას ამახვილებს მის ლექსზე *უდაბნო*, რომლის თარგმანის ხელნაწერს მიწერილი აქვს: „მიბაძვა ბაირონისადმი“ (*სალიტერატურო-საზოგადოებრივი ცხოვრებიდან* 122).

იოსებ ბაქრაძე (1850-1902) ერთი იმ მოღვაწეთაგანია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ბაირონის ქართულ ენაზე ყველაზე ნაყოფიერ მთარგმნელად XIX საუკუნეში. ი. ბაქრაძეს მეტად რთულად უხდებოდა თავისი ნაწერების გამოქვეყნება, რამდენადაც ცენზურა ეხებოდა როგორც ორიგინალურ თხზულებებს, ისე თარგმანებსაც, თუკი იქ შეინიშნებოდა ეროვნული, ან სოციალური უსამართლობის პროტესტის რაიმე ნიშანი. იოსებ ბაქრაძემ რუსულის გარდა არცერთი უცხო ენა არ იცოდა, ამიტომ თარგმნიდა რუსულის მეშვეობით ინგლისური, ფრანგული, ამერიკული და სომხური მწერლობის სხვადასხვა ნიმუშებს. ი. ბაქრაძისათვის მნიშვნელოვანი იყო ქართველ მკითხველთან გასაგებად მიეტანა დასავლეთ ევროპის მწერლები.

იგი თითქმის არსად გვაძლევს სიტყვასიტყვით თარგმანს. ზოგ შემთხვევაში იგი იძლევა თავისუფალ თარგმანს, ზოგჯერ კი

1. XIX საუკუნეში „სხოლა“ იხმარებოდა სკოლის მნიშვნელობით

მთარგმნელი მიყვება სათარგმნ დედანს, მაგრამ თარგმანს აძლევს ეროვნულ იერს. პოეტი სათარგმნად ირჩევს ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც ახლოსაა მის სულიერ სამყაროსთან, მის იდეურ მისწრაფებებთან. (მიქაძე, *იოსებ ბაქრაძის ცხოვრება და შემოქმედება* 6)

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ი. ბაქრაძეს უთარგმნია ბაირონის ოცდაათიოდე ლექსი, პოემები *დონ ჟუანი* და *ჩაილდ ჰაროლდი*. მის მიერ შესრულებულმა თარგმანებმა შეადგინა უცხოელ ავტორთა მცირე ანთოლოგია, რომელშიც შედიოდა ბაირონიც.

იოსებ ბაქრაძის ბიოგრაფია შეტანილია ივ. როსტომაშვილის რედაქციით გამოცემულ *რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში*. ივ. როსტომაშვილი წერს: „ბაქრაძე იოსებ ზოსიმეს ძე – ჩვენი დროის ცნობილი მთარგმნელი ბაირონისა ქართულად...“, ხოლო ბაირონისადმი მიძღვნილ სტატიაში ივანე როსტომაშვილი აღნიშნავს: „ქართულს ენაზე გადმოთარგმნილია ბევრი თხზულება ბაირონისა, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ გადმოგვცემენ სავსებით ბაირონისებურს კილოს წერისას, მის შემოქმედებითს პოეზიას. ჩვენში მის უკეთესს მთარგმნელად ითვლება იოსებ ბაქრაძე“ (211).

ივ. როსტომაშვილს სანიმუშოდ მოუყვანია ბაქრაძისეული თარგმანი ბაირონის *ჩაილდ ჰაროლდის* მესამე გალობისა.

თვითონ იოსებ ბაქრაძეს გადაწყვეტილი ჰქონია, გამოეცა ბაირონის თხზულებათა თარგმანები. როგორც გაზეთი *ცნობის ფურცელი* იუწყება, „ჩვენს პოეტს იოსებ ბაქრაძეს ერთად შეუკრებია ყველა ლექსები და, მათს შორის, სრულად *ჩაილდ ჰაროლდი* და განზრახვა აქვს მოკლე ხანში ცალკე წიგნად დაბეჭდოს. წიგნს ჩართული ექმნება სურათი ბაირონისა და მისი ბიოგრაფიაც, ბ-ნის ი. ბაქრაძის მიერ დაწერილი“ (*რედაქციისაგან* 2).

თუმცა, აღნიშნული კრებული თარგმანებისა, როგორც მკვლევარი მ. კუჭუხიძე გვამცნობს: „...ავტორის სიცოცხლეში ცალკე წიგნად არ დაბეჭდილა. მისი ლექსების მცირე ნაწილი 1938 წელს გამოიცა პროფესორ სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციით“ (*Op. cit.* 77). გამომცემელს არ შეუტანია მასში ის ლექსები, რომლებიც „ი.ო.“-ს ფსევდონიმის ქვეშ იბეჭდებოდა.

მკვლევარ თ. მიქაძეს, საფუძვლიანად შეუსწავლია რა ი. ბაქრაძის ორიგინალური და თარგმნილი პოეზია, „ი.ო.“-ს ფსევდონიმის ქვეშ ავტორობასა და თარგმანს არ მიაწერს იოსებ ბაქრაძეს და ამით ხსნის იმ ფაქტს, რის გამოც ს. ყუბანეიშვილმა ამ ფსევდონიმებით ხელმოწერილი ლექსები არ შეიტანა ი. ბაქრაძის კრებულში. თუმცა აღნიშნული საკითხის კვლევა, ჩვენი აზრით, უფრო „ბაირონიდან“ ი. ბაქრაძის თარგმანებისა და „ი.ო.“-ს ფსევდონიმებს ამოფარებული

პოეზიის მხოლოდ სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება მოხდეს, რისი მცდელობაც გვექნება სხვა ნაშრომში. მით უმეტეს, რომ ამ ფსევდონიმების გარდა „იორდანე ტუსალი“ აწერია ბაირონის ერთი ლექსის, „მშვიდობით“, თარგმანს (*Op. cit.* 44).

იოსებ ბაქრაძეს სემინარიაში ყოფნის პერიოდში (1867-1874) დაუწყია მთარგმნელობითი საქმიანობა, თარგმნიდა ბაირონის ლექსებს და ნაწყვეტებს პოემა *დონ ჟუანიდან*, რომლებიც იბეჭდებოდა *ჟურნალ მნათობში*. ი. ბაქრაძეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მოგვიანებითაც იმ დროისათვის ცნობილ ჟურნალ-გაზეთებთან და მათ რედაქტორებთან. რამდენადაც ი. ბაქრაძე იყო გაზეთ *ივერიის* აქტიური თანამშრომელი, ამკარაა, იგი სწორედ იქიდან ეცნობოდა ევროპული ლიტერატურის შედეგებს და თვითონაც თარგმნიდა. ალბათ, ამით უნდა აიხსნას მისი დაინტერესება ბაირონის თარგმნით. როგორც ელენე ანტონის ასული მამულაშვილი-ვასაძე იგონებს:

ქართული ენა და ლიტერატურა ი. ბაქრაძემ ძალიან კარგად იცოდა. მე პირველად თარგმნა იმან მასწავლა, ისე გასაგებად მიხსნიდა ყველაფერს, რომ სულ ადვილად შევისწავლე თარგმნა. ის მომცემდა ხოლმე პატარა სათარგმნს და, როცა გავათავებდი, ჩემი თანდასწრებით დაიწყებდა ხოლმე გასწორებას და მეტყობდა ხოლმე: ესე არ არის, ეს ესე უნდაო. (*ლიტ. მუშ. ხ.ფ. N 20815*)

ამკარაა, რომ ბაქრაძესაც იგივე თარგმნის სტილი ჰქონდა, არა მთლიანი ტექსტის გააზრების შემდეგ, არამედ ნაწილ-ნაწილ, სტრიქონ-სტრიქონ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ბაქრაძემ არცერთი უცხო ენა არ იცოდა და თარგმნიდა იგი რუსული თარგმანების მეშვეობით, ანუ აკეთებდა თარგმანების თარგმანს.

... მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იოსების თარგმანები ამა თუ იმ ენაზე დაწერილ ორიგინალს, „პირველ წყაროს“, გაუმართლებელია და, ამ მხრივ, კვლევა-ძიებას არასწორად ვთვლით. გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: რუსულად არსებობდა ერთი და იგივე უცხოელი ავტორის სხვადასხვა თარგმანი, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს ქართული თარგმანების რუსული დედნის დაძებნას. ამიტომ ქართული თარგმანის დედნის დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება და მომავალშიც საჭიროა ამ მხრივ მუშაობის განგრძობა. (*მიქაძე, ოპ. cit.* 94)

მკვლევარი თ. მიქაძე ურჩევს თარგმანმცოდნეთ იმ რუსული თარგმანების მოძიებას, საიდანაც ბაქრაძე შერჩევით თარგმნიდა უცხოელ ავტორებს. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობდა თარგმანმცოდნე გივი გაჩეჩილაძე. მეცნიერი ძირითადად აქცენტს აკეთებს ნ. გერბელის

მიერ 1875 წელს გამოცემულ წიგნზე, რომელშიც ადარებს ქართველ მთარგმნელთა ნამუშევრებს გერბელის თარგმანთან. ასევე ნაწილობრივ გვთავაზობს მ. კუჭუხიძე სხვადასხვა სახის შედარებებს, მაგრამ ვერსად მივაკვლიეთ ამ ეტაპზე პირველწყაროს ბაქრაძის მიერ შესრულებული თარგმანებისა. რაც შეეხება მთარგმნელობით მეთოდს, ი. ბაქრაძე თარგმანს აძლევს ეროვნულ იერს.

პოეტი იყენებს ქართულისათვის დამახასიათებელ გამოთქმებს, ზოგჯერ ცვლის ან უმატებს სიტყვებსა და წინადადებებს. თვალნათლივ შეიმჩნევა, რომ პოეტი სათარგმნელად არჩევს ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც ახლოსაა მის სულიერ სამყაროსთან, მის იდეურ მისწრაფებებთან. თარგმნის დროს ი. ბაქრაძე არასოდეს ღალატობდა ხალხურობის მაღალ პრინციპებს და, ამასთან, ქართულის სასაუბრო, ხალხურ ენას ეყრდნობოდა. (იოსებ ბაქრაძის ცხოვრება და შემოქმედება 95)

მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი ხშირად აწერს „ბაირონით“, „ბაირონიდან“ და სხვ., მაინც თავად ავტორსაც არა აქვს გამოკვეთილი თავისუფალი თარგმანია ეს, მიბაძვა, თუ გადმოკეთება? ამ კუთხით თ. მიქაძე ეთანხმება საგამომცემლო პრაქტიკაში ტექსტოლოგების მიერ გადმოკეთებული ნაწარმოებების ორიგინალის გვერდით პუბლიკაციის ტენდენციას, რამდენადაც იგი ემყარება ილია ჭავჭავაძისეულ თვალსაზრისს, რომ „გადმოკეთებისას მწერლის მიზანია თავისი ხალხისთვის უფრო გასაგები და მისაწვდომი გახადოს ნათარგმნი ნაწარმოები, სხვა ხალხის საკუთრება თავისი ხალხის საკუთრებად აქციოს, ე.ი. ასეთ შემთხვევაში თავისებურ, ორიგინალურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმეო“ (*Op. cit.* 97).

იოსებ ბაქრაძის მიერ ნათარგმნი ბაირონის თხზულებებიდან წინამდებარე ნაშრომში ვცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა რამდენიმეზე: *დონ-ჟუანი* და *ჩაილდ-ჰაროლდი*, რომლებზედაც საკმაოდ საფუძვლიანად უმუშავია ავტორს. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ი. ბაქრაძის მიერ ნათარგმნი თხზულებანი, საიდანაც ირკვევა, რატომ და როგორ ცდილობდა ავტორი მათ სრულყოფას. მაგრამ არ არის გამოკვეთილი მკვლევართა მიერ ის ფაქტი, თუ რატომ აირჩია ი. ბაქრაძემ ეს ნაწარმოებები სათარგმნად. ამის პასუხი შეიძლება ვეძიოთ თავად ბაირონის მიერ აღნიშნული თემების შერჩევაშიც.

ბაირონის *დონ-ჟუანის* რუსეთში შემოსვლისას რუსეთის იმპერიის ცენზორი მიანიშნებდა, რომ იგი ურწმუნობის გავლენას იწვევდა ახალგაზრდობაში, მაგრამ მაინც ითარგმნა რუსულ ენაზე. რაც შეეხება ქართულ თარგმანს, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ დონ ჟუანის

ისტორია ბაირონამდე იყო ცნობილი ქართულ ლიტერატურულ სამყაროში (ყ. ბ. მოლიერის *დონ ჟუანიდან*).

როგორც მკვლევარი ინესა მერაბიშვილი აღნიშნავს, “ბაირონი მემუარების პარალელურად *დონ-ჟუანზეც* მუშაობდა და იბმაილის ალების ეპიზოდში (*დონ-ჟუანის VIII-XII სიმღერები*) აღწერილი დონ ჟუანის მიერ თურქი ობოლი გოგონას – ლეილას – პოვნა თითქოს შესატყვისია თავად ავტორის დამოკიდებულებისა ქართველი გოგონას, თირზასადმი“ (ლორდ ბაირონი, *ლექსები* 41).

როგორც ზემოთ აღინიშნა, იოსებ ბაქრაძემ ნაწყვეტი „დონ-ჟუანიდამ“ – გამოაქვეყნა ჟურნალ *მნათობში* (1871, N8). შემდგომ – 1872 წელს – *დონ-ჟუანი*, ხმა მეორე, ხოლო დაასრულა 1872 წელს ჟურნალ *მნათობის* N10,11,12-ში. მოგვიანებით კი ქვეყნდება „ჯულიას წერილი“ (*დონ-ჟუანიდან*) (ც.ნ.ფ. 1902 N2000).

თარგმანმცოდნე გ. გაჩეჩილაძე თავის წერილებში „ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმანის საკითხები“, ცდილობს გამოიკვლიოს, რამ მიიზიდა მთარგმნელი ი. ბაქრაძე *დონ-ჟუანის* ქართულ ენაზე გადმოღებისას:

ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ რამ განსაზღვრა ამ შემთხვევაში ი. ბაქრაძის არჩევანი. ყველაზე შესაძლო მიზეზად უთუოდ უნდა ბაირონის პოემის მომხიბლავობა და პოეტური ძალა მივიჩნიოთ.... ქართულ თარგმანში გამოხატული სურათები ნათელია და ამაღლევებელი, მკითხველი გატაცებით მისდევს ტაეპიდან ტაეპში გადასული შემადრწუნებელი ამბის მიმდინარეობას. შედარებით უფრო სუსტია მთარგმნელის პოეტური ძალა ქების მეორე ნაწილში – დონ-ჟუანისა და ჰაიდეს რომანის აღწერაში; აქ თავს იჩენს მთარგმნელის ლირიკული ხერხების ერთგვარი შეზღუდულობა. (გაჩეჩილაძე, *მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი* 3)

გვი გაჩეჩილაძე აქვე აკეთებს დასკვნას, რომ „საერთოდ თარგმანი ტექნიკური შესრულების მხრივ იმ დროისთვისაც საშუალოზე დაბალ დონეზე დგას“ (*Ibid.*)

ნიკო ნიკოლაძე, თავის წერილებში *ჩვენი მწერლობა*, დიდ შეფასებას აძლევს რა ბაირონის *დონ-ჟუანს*, მკაცრად აკრიტიკებს ი. ბაქრაძის თარგმანს. მკვლევარი მ. კუჭუხიძე აღნიშნავს:

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ნ. ნიკოლაძემ პირველად წარმოუდგინა მკითხველს ბაირონის სტროფები ორიგინალში (შესაბამისი ზუსტი ბჭარედით), შეადარა თარგმანი ორიგინალს, ნათელყო მთარგმნელის შეცდომები, „ლექსთა წყობის“ ნაკლოვანებანი და დასძინა, რომ ისეთი გენიოსის თარგმნისას, როგორცაა შილერი ან ბაირონი, „თავი უნდა იმტვიროს კაცმა თითოეულ სიტყვაზე, თითოეულ წერტილზეო“. (*Op. cit.* 109)

რაც შეეხება ჩაილდ ჰაროლდს, რომლის თარგმნა ი. ბაქრაძეს უნდა დაეწყო ნაწყვეტების სახით 1871 წლიდან („ჩაილდ-ჰაროლდის სიმღერა“, *ჟურნალი მნათობი*, 1871, N2), რომელიც განმეორებით დაიბეჭდა *დროებაში* (1878, N137), ხოლო 1880 წელს – *ჟურნალ ივერიაში* (N11), ამის შემდეგ პოემის სხვადასხვა ნაწილების თარგმანები სხვადასხვა წლებში იბეჭდება სხვადასხვა *ჟურნალ-გაზეთებში*. 1880 წლის *ივერიაში ჩაილდ-ჰაროლდის* სათაურის ქვეშ მიწერილია „რომანი ოთხ ნაწილად ლორდ ბაირონისა გადმოთარგმნილი ი. ბაქრაძისაგან.“ თუმცა აქ მხოლოდ „ერთი გალობა“ გამოქვეყნებული 1879 წელს თარგმნილიდან.

1895 წელს ისევ იბეჭდება ნაწყვეტი პოემიდან *ივერიაში*, 1898 წელს კი „მესამე გალობიდან“ (*ივერია*) თავები XVIII-XXXIV, ხოლო 1903 წელს – „გალობა მეორე“ (*ივერია*, N244). ზოგიერთი თავის პუბლიკაციაც კი არასრულადაა ჩვენამდე მოღწეული. გ. გაჩეჩილაძე ფიქრობს, რომ ი. ბაქრაძე თავად იჩენდა ტენდენციას, შეეხედა „ასეთი დიდი და ძნელად სათარგმნელი ნაწარმოების ქართულ ენაზე გადმოღებისათვის“, შემდგომად ამ პოემის ნაწყვეტები უთარგმნიათ სილოვან ხუნდაძესა და კონსტანტინე ჭიჭინაძეს. რაც შეეხება ი. ბაქრაძის თარგმანს, გ. გაჩეჩილაძის დახასიათებით, „ტექნიკური თვალსაზრისით იგი დაახლოვებით საშუალო დონეზე დგას და მას საკმაოდ ახასიათებს იმ ტიპის ნაკლი, რაც ზემოთ აღნიშნულია „დონ-ჟუანის“ თარგმანის მიმართ“ (*ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები* 3).

გარდა ამისა ბაქრაძეს ეკუთვნის ბაირონის პოემა *პრომეთეოსის* თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ *ივერიის* 1903 წლის N262-ში.

მიუხედავად ზემოთმოყვანილი ხარვეზებისა, ი. ბაქრაძე მაინც რჩება ბაირონის შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ მთარგმნელად ქართულ მთარგმნელობით სივრცეში.

ბიბლიოგრაფია

გაჩეჩილაძე, გივი, *მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი*, თბილისი, განათლება, 1966.

გაჩეჩილაძე, გივი, „ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები“, *ლიტერატურული გაზეთი*, 20 იანვარი, 1956, გვ. 1-4.

ეკიზაშვილი, გიორგი, „ევროპული რომანტიზმის პანორამა“, in, აბზიანიძე, ზაზა (dir.), *ქართული რომანტიზმი*, თბილისი, 2012, გვ. 124-135.

ელაშვილი, ქეთევან, „სიმბოლო ქართულ და ევროპულ რომანტიზმში“, in, აბზიანიძე, ზაზა, (dir.), *ქართული რომანტიზმი*, თბილისი, 2012.

- კუჭუხიძე, მაცვალა, *ქართველი სამოციანელები და ბაირონის შემოქმედება*, თბილისი, მეცნიერება, 1974.
- ლაშქარაძე, დავით, „*ლიტერატურული მერიდიანები*“, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1988.
- მამულაშვილი-ვასაძე, ელენე, *მოგონებანი, ლიტ. მუზ. ხ.ფ. N 20815*.
- მერაბიშვილი, ინესა, *ლორდ ბაირონი, ლექსები*, თბილისი, 2013.
- მიქაძე, თამარ, *იოსებ ბაქრაძის ცხოვრება და შემოქმედება*, თბილისი, უნივერსალი, 2007.
- რედაქციისაგან, *ცნობის ფურცელი*, N330,1897, გვ. 1-4.
- როსტომაშვილი, ივანე, (dir.), *რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი*, სალარო ცოდნისა, თბილისი, 1898.
- ჭავჭავაძე, ილია, *რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად, ტ. III*, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1986.
- ჭავჭავაძე, ილია, *წერილები ქართულ ლიტერატურაზე, რჩეული ნაწერები 5 ტომად, ტ.III*, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1986.
- ხელთუბნელი, მიხეილ, *სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან*, თბილისი, ფედერაცია, 1988.
- Алекси-Месхишвили, Сардион, „Антикритика“, *Кавказ*, 7 Февраля, N11, 1857, с. 4-5.
- Гербель, Николай (dir.), *Сочинения Лорда Байрона, т. I*, Санкт-Петербург, 1874.